საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტისა და საკოორდინაციო საბჭოს ერთობლივი

დადგენილება # 7

თბილისი, 5 მარტი, 2004 წელი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის 37-ე და 45-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი და საკოორდინაციო საბჭო ერთობლივად

ა დ გ ე ნ ე ნ:

დამტკიცდეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტისა და საკოორდინაციო საბჭოს 2004 წლის სამუშაო გეგმა თანდართული სახით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ლადო ჭანტურია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტისა და საკოორდინაციო საბჭოს ერთობლივი

დადგენილება # 8

თბილისი, 5 მარტი, 2004 წელი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტისა და საკოორდინაციო საბჭოს 2003 წლის 22 დეკემბრის #5 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი და საკოორდინაციო საბჭო ერთობლივად

ა დ გ ე ნ ე ნ :

1. თბილისის რაიონული სასამართლოების თავმჯდომარეების ინფორმაციები მათდამი რწმუნებულ სასამართლოებში 2004 წლის იანვრისა და თებერვლის თვეებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის ვადების დაცვის მდგომარეობის თაობაზე მიღებულ იქნეს ცნობად.

2. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიურომ (ლაშა კალანდაძე), თბილისის რაიონულ სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას, კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო ვადების დარღვევის ყველა ახალ ფაქტთან დაკავშირებით, განახორციელოს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის კანონით გათვალისწინებული პროცედურები.

3. საერთო სასამართლოების დეპარტამენტში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. არაუგვიანეს 2004 წლის მარტის თვისა, შესწავლილ იქნეს თბილისის საოლქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვისას კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო ვადების დაცვის მდგომარეობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ლადო ჭანტურია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტისა და საკოორდინაციო საბჭოს ერთობლივი

დადგენილება # 9

თბილისი, 5 მარტი, 2004 წელი

მოისმინა რა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მერაბ ახობაძის ინფორმაცია საქართველოს 2004 წლის ბიუჯეტის პროექტში
საერთო სასამართლოების დაფინანსების ნაწილის თაობაზე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი და საკოორდინაციო საბჭო ერთობლივად

ა დ გ ე ნ ე ნ :

1. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ მომზადდეს მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი საერთო სასამართლოების დაფინანსებაში შექმნილ მძიმე მდგომარეობასთან და 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში საერთო სასამართლოების დაფინანსების ნაწილის გაზრდასთან დაკავშირებით.

2. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის საბჭოს, სასამართლოებისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის წინადადებების საფუძველზე, მომზადდეს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი, რათა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 20 ივნისის #381 ბრძანებულებით დამტკიცებულ „აფხაზეთისა და აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების, რაიონული და საქალაქო სასამართლოების აპარატთა სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები დამხმარე მოსამსახურეთა (ეკონომისტი (ბუღალტერი), სპეციალისტი, კურიერი...) საშტატო რაოდენობაში გასათვალისწინებლად.

3. დაევალოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „განვითარებისა და რეფორმების ფონდთან“ ერთად განახორციელოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის ფონდის სახსრებიდან გათვალისწინებული დანამატის გაცემის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ლადო ჭანტურია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტისა და საკოორდინაციო საბჭოს ერთობლივი

დადგენილება # 10

თბილისი, 30 აპრილი, 2004 წელი

„მმართველი მოსამართლის სტატუსისა და საქმიანობის წესის შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-4 მუხლის ე) პუნქტის შესაბამისად, მოისმინა რა მმართველ მოსამართლეთა ანგარიშები შესაბამის რეგიონებში მართლმსაჯულების მდგომარეობისა და სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის თაობაზე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი და საკოორდინაციო საბჭო ერთობლივად

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მმართველ მოსამართლეთა: ლეილა გურგუჩიანის, აკაკი თოიძის, შალვა ხაჭაპურიძის, ნუგზარ სარიას, მარიამ ცერცვაძის, ლელა ფრიდონაშვილის ანგარიშები მიღებულ იქნეს ცნობად.

2. მმართველმა მოსამართლებმა;

2.1. ყურადღება გაამახვილონ სასამართლოებში საქმისწარმოებისა და მოქალაქეებთან ურთიერთობის კულტურის გაუმჯობესებაზე.

2.2. შეისწავლონ შესაბამისი რეგიონის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას საქმისწარმოების შეჩერების პრაქტიკა და ინფორმაცია წარუდგინონ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულ კომიტეტს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ლადო ჭანტურია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტისა და საკოორდინაციო საბჭოს ერთობლივი

დადგენილება # 11

თბილისი, 30 აპრილი, 2004 წელი

მოისმინა რა საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის #19 დადგენილებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ინფორმაცია თბილისის რაიონულ სასამართლოებში იურიდიულ პირთა (საწარმოების, კავშირების) რეგისტრაციის პრაქტიკის შესწავლასთან დაკავშირებით, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი და საკოორდინაციო საბჭო ერთობლივად

ა დ გ ე ნ ე ნ :

1. თბილისის რაიონულ სასამართლოებში იურიდიულ პირთა რეგისტრაციის პრაქტიკის შესწავლის შედეგად მომზადებული დასკვნა და კანონმდებლობის მოთხოვნათა განსაკუთრებით უხეში დარღვევებით შედგენილი დადგენილებების ქსეროასლები თვალსაჩინოებისათვის გაეგზავნოს ყველა სასამართლოს.

2. საერთო ასამართოლების იმ მოსამართლეებმა, რომლებიც ახორციელებენ იურიდიულ პირთა რეგისტრაციას, გაითვალისწინონ სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

3. საერთო სასამართლოების თავმჯდომარეებმა, ინფორმაცია დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე, 3 თვეში ერთხელ წარუდგინონ მმართველ მოსამართლეებსა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტისა და საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს.

4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელონ მმართველმა მოსამართლეებმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ლადო ჭანტურია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტისა და საკოორდინაციო საბჭოს ერთობლივი

დადგენილება # 12

თბილისი, 30 აპრილი, 2004 წელი

სასამართლოების ინფორმატიზაციის პროექტის ფარგლებში დამუშავებული სასამართლო საქმის წარმოების სისტემების სასამართლოებში დანერგვის პროცესის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი და საკოორდინაციო საბჭო ერთობლივად

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს „საერთო სასამართლოების ერთიანი კომპიუტერული ქსელის ექსპლუატაციის, რესურსების განაწილების, უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკის თაობაზე“ დებულება თანდართული სახით.
2. საცდელ ექსპლუატაციაში ჩაეშვას სასამართლოების ინფორმატიზაციის პროექტის ფარგლებში დამუშავებული სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სასამართლო საქმის წარმოების სისტემები;
3. შეირჩეს გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლო როგორც სამოდელო სასამართლო საქმის წარმოების სისტემების დანერგვისა და პრობაციისათვის;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა უზრუნველყოს:

ა. პროექტის ფარგლებში დამუშავებული სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების სისტემების დანერგვა გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში;

ბ. შესაბამისი პერსონალის მომზადება აღნიშნულ სისტემებთან სამუშაოდ;

გ. რეგულარული ინფორმაციის მიწოდება ადმინისტრაციული კომიტეტისათვის ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

5. ბატონმა ზურაბ რუხაძემ, გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ უზრუნველყოს:

ა. ბრძანებით შესაბამისი პერსონალის გამოყოფა სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების სისტემებთან სამუშაოდ;

ბ. საცდელი ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი შენიშვნებისა და ხარვეზების შეგროვება და თანდართული ფორმის მიხედვით მათი მიწოდება საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის (საქონტაქტო პიროვნება გიგა შუბითიძე, თავმჯდომარის მოადგილე);

6. ბატონმა გიგა შუბითიძემ, საერთო სასამართლოების თავმჯდომარის მოადგილემ და ბატონმა ზურაბ რუხაძემ, გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ, ადმინისტრაციული კომიტეტის უახლოეს სხდომაზე წარმოადგინონ ანგარიში სისტემათა დანერგვის მიმდინარეობის შესახებ.
7. იმ სასამართლოების თავმჯდომარეებმა, რომლებსაც გადაეცემათ კომპიუტერული ტექნიკა, უზრუნველყონ სასამართლო დოკუმენტაციის მხოლოდ ნაბეჭდი ფორმით წარმოება.
8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარემ მერაბ ახობაძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ლადო ჭანტურია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტის

დადგენილება # 13

თბილისი, 30 აპრილი, 2004 წელი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-80 მუხლის პირველი პუნქტით, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-13, 36-ე, 51-ე და 52-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს მოსამართლეთა V კონფერენცია მოწვეულ იქნეს 2004 წლის 18 ივნისს, ქ. თბილისში;

2. დამტკიცდეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დღის წესრიგი თანდართული სახით.

3. კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ- ტექნიკური ღონისძიებების გატარება, დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე საინფორმაციო-საცნობარო მასალების მომზადება და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის გაცნობა უზრუნველყოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა (მერაბ ახობაძე).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ლადო ჭანტურია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტისა და საკოორდინაციო საბჭოს ერთობლივი

დადგენილება # 14

თბილისი, 30 აპრილი, 2004 წელი

მოისმინა რა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მერაბ აჟხობაძის ინფორმაცია საქართველოს 2004 წლის ბიუჯეტის პროექტში საერთო სასამართოლების დაფინანსების ნაწილის თაობაზე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი და საკოორდინაციო საბჭო ერთობლივად

ა დ გ ე ნ ე ნ :

1. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის საბჭოს, მიმართოს საქართველოს პარლამენტს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში საერთო სასამართლოების დაფინანსების ნაწილის გაზრდასთან დაკავშირებით.

2. საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა, ადმინისტრაციული კომიტეტის სახელით მოამზადოს წერილი და დეტალური ინფორმაცია საქართველოს მთავრობისადმი, საერთო სასამართლოების დაფინანსებაში შექმნილი არსებული მძიმე მდგომარეობისა და 2004 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ლადო ჭანტურია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტის

დადგენილება # 15

თბილისი 2004 წლის 12 აგვისტო

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრად კახაბერ ყიფიანის დამტკიცების თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე დამტკიცდეს კახაბერ ყიფიანი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კემულარია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტის

დადგენილება # 16

თბილისი 2004 წლის 12 აგვისტო

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრად ნუგზარ სხირტლაძის დამტკიცების თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე დამტკიცდეს ნუგზარ სხირტლაძე საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კემულარია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტის

დადგენილება # 17

თბილისი 2004 წლის 12 აგვისტო

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრად მარინე ფარცვანიას დამტკიცების თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე დამტკიცდეს მარინე ფარცვანია საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კემულარია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტის

დადგენილება # 18

თბილისი 2004 წლის 12 აგვისტო

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრად ირინე ქურდაძის დამტკიცების თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე დამტკიცდეს ირინე ქურდაძე საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კემულარია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტის

დადგენილება # 19

თბილისი 2004 წლის 12 აგვისტო

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრად გიორგი ჩემიას დამტკიცების თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე დამტკიცდეს გიორგი ჩემია საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კემულარია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტის

დადგენილება # 20

თბილისი 2004 წლის 12 აგვისტო

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრად ზურაბ ძლიერიშვილის დამტკიცების თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე დამტკიცდეს ზურაბ ძლიერიშვილი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კემულარია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტის

დადგენილება # 21

თბილისი 2004 წლის 12 აგვისტო

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრად თეიმურაზ თოდრიას დამტკიცების თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე დამტკიცდეს თეიმურაზ თოდრია საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კემულარია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტის

დადგენილება # 22

თბილისი, 2004 წლის 12 აგვისტო

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრად დავით სვანიძის დამტკიცების თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე დამტკიცდეს დავით სვანიძე საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კემულარია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტის

დადგენილება # 23

თბილისი 2004 წლის 12 აგვისტო

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს თავმჯდომარედ კახაბერ ყიფიანის დამტკიცების თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე დამტკიცდეს კახაბერ ყიფიანი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს თავმჯდომარედ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კემულარია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციული კომიტეტის

დადგენილება # 25

თბილისი, 2004 წლის 12 აგვისტო

ზაზა გუნცაძის საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

ა დ გ ე ნ ს:

თანხმობა მიეცეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ზაზა გუნცაძის საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნაზე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კემულარია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა #26

თბილისი, 2004 წლის 8 სექტემბერი

საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის
მოადგილედ დანიშვნაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

ა დ გ ე ნ ს:

თანხმობა მიეცეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს მამუკა გელოვანს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კონსტანტინე კემულარია